

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

**არაფორმალური განათლება სამოქალაქო კომპეტენციების ამაღლებისათვის**

სოფიო ხვადაგიანი

ქ. ქუთაისის N23 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

**ანოტაცია**

არაფორმალური განათლება მიზნად ისახავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მოსწავლეებში სამოქალაქო კომპეტენციების ამაღლებას. კინო და ლიტერატურული კლუბები ზრდის მოტივაციას და მასწავლებლისთვის წარმოადგენს დამატებით საშუალებას, გაუღვიძოს ბავშვებს ინტერესი კლასიკური ხელოვნებისადმი, განავითაროს მათი ესთეტიკური გემოვნება და მორალურ –ზნეობრივი ღირებულებები.

**საკვანძო სიტყვები:** არაფორმალური განათლება, სამოქალაქო კომპეტენციები,

საინფორმაციო ტექნოლოგიები, მედიაწიგნიერება.

არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ წიგნიერების დონე, როგორც საზოგადოებაში, ასევე სკოლაშიც, დაბალია. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მოსწავლეთა პრობლემები კითხვასა და ზოგადად წიგნიერებასთან მიმართებაში. მათი დაბალი სალიტერატურო დონე ჩანს როგორც ზეპირ მეტყველებაში, ასევე წერით ნაშრომებში. მოსწავლეებისათვის უცხოა კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებების უმრავლესობა. უჭირთ წაკითხული მასალის შესახებ მსჯელობა–ანალიზი და აღქმა–გაგება. „წიგნიერება განისაზღვრება, როგორც საზოგადოების მიერ ღირებულად მიჩნეული და/ან ინდივიდისათვის ფასეული წერილობითი ენობრივი ფორმების გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობა. პატარა მკითხველებს უნდა შეეძლოს მრავალფეროვანი ტექსტების შინაარსის გაგება...“ - ვკითხულობთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ კვლევის ანგარიშში ( მასწავლებლის პროფესიული განვითარების გზამკვლევი, 2014 წ ) . ამ განმარტების გაცნობა და გაცნობიერება მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, რადგან, უმრავლესობას მიაჩნია, რომ წიგნიერება ნიშნავს, ბავშვს რაც შეიძლება მეტი მხატვრული წიგნი ჰქონდეს წაკითხული, იცნობდეს ქართველ და უცხოელ ცნობილ მწერლებსა და პოეტებს და შეეძლოს კონტექსტის შესაფერისად მათი ციტირება. სინამდვილეში წიგნიერება გულისხმობს ტექსტთან ურთიერთობის ხელოვნებას, კითხვის მეთოდების ცოდნას, ინფორმაციის მიღებასა და მის მენეჯმენტს და იგი სტატიკურ ცოდნაზე არ არის ორიენტირებული (პაპავა პ., ჭანტურია თ., წიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2012 წ ) . წიგნიერებამ უნდა შეეძლოს მოსწავლეებს განუვითაროს 21–ე საუკუნის უნარ–ჩვევები და აამაღლოს მათში სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები. ლიტერატურულ ნაწარმოებებში მდიდარი მასალაა იმ უნარებისა და ფასეულობების ჩამოსაყალიბებლად, რომლებსაც განვითარებისა

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

და სწავლების თეორიები მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მასწავლებლის კომპეტენციებზეა დამოკიდებული, თუ მის მიერ შერჩეული ლიტერატურული ნიმუშები, რამდენად მორგებული იქნება სოციალური და სამოქალაქო უნარ-ჩვევების განვითარებას. მოსწავლე არ უნდა იყოს მხოლოდ წიგნის გადამკითხველი, არამედ, იქნება ეს ლიტერატურის გაკვეთილებითა თუ კლუბური შეხვედრებით, ის უნდა ყალიბდებოდეს სრულფასოვან პიროვნებად.

უნდა ითქვას, რომ პროგრამული მასალა და სახელმძღვანელო ხშირად შემოქმედ მასწავლებელს არ აძლევს საშუალებას ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნები შეასრულოს. მას უჩნდება დამატებითი მოთხოვნილება, რომ არსებული ლაფსუსები რომელიმე სტრატეგიით შეავსოს. ამაში მე, პირადად, ძალიან მეხმარება ჩვენს სკოლაში არსებული კინო და ლიტერატურული კლუბები. სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და პრობლემის იდენტიფიცირებამ, რომელიც გამოიხატებოდა წიგნიერების დაბალი დონით, მიბიძგა, რომ მოსწავლეები ჩამერთო კლუბურ მუშაობაში. ამან საშუალება მოგვცა, რომ ისინი გაცნობოდნენ როგორც ლიტერატურულ, ასევე კინო შედეგებსაც. ლიტერატურულ კლუბში გამართულმა შეხვედრებმა, განხილულმა წიგნებმა, დისკუსიებმა და მოწვეულმა სტუმრებმა გაამდიდრეს მოსწავლეთა ინტელექტუალური დონე. კინოკლუბის არსებობა თან დაემთხვა განათლების სამინისტროსა და ეროვნული კონოაკადემიის პროექტს „კინო სკოლაში“ (<http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=კინო%20სკოლაში&id=5136&lang=geo>) . დაიგეგმა ერთობლივი შეხვედრები და კინო განხილვები. მე, როგორც ლიტერატურის მასწავლებელს ციფრულმა ტექნოლოგიებმა საშუალება მომცა, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში დასმული პრობლემური საკითხები ფილმებთან სინთეზურ კავშირში განმეხილა, რაც მოსწავლეებს უფრო მეტად უადვილებდა პრობლემის არსის დანახვასა და გააზრებას. კლუბურმა მუშაობამ საშუალება მოგვცა სასწავლო პროგრამაში ასე მნიშვნელოვნად წინ წამოწეული სამოქალაქო კომპეტენციების გაძლიერება. იგი მიზნად ისახავს მოსწავლეთა თვითშეგნებისა და მორალური პასუხისმგებლობის განვითარებას. ზნეობა, მორალი და ეთიკა ხშირად იდენტურ, სინონიმურ ცნებებად აღიქმება, თუმცა ზნეობა გაცილებით ვიწრო ცნებაა და მას ადამიანი საკუთარი ცნობიერების, იმ შეხედულებების საფუძველზე იყალიბებს, რომლებიც მისივე თავისუფალი ნებიდან გამომდინარეობს. რაც შეეხება მორალს, მისი ზუსტი განმარტება ასეთია: იმ წესების და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში. ამის კვალობაზე, მორალი გაცილებით ფართო მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ზნეობა. მორალი ცალკეული ინდივიდების მიერ შემუშავებული და მიღებული წესები როდია; მას ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფი, სოციუმი აყალიბებს და არგებს იმ კულტურას, რომელშიც უწევს არსებობა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, არის შემთხვევები, როდესაც საზოგადო და ინდივიდუალური მორალი ერთმანეთს არ ემთხვევა. მეტიც - კანონმორჩილება, წესების პატივისცემა ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგობაშიც კი მოდის ადამიანურ მორალთან, ზნეობასთან. ის, რაც მისაღები და თითქოს კანონიერია,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ადამიანთა გარკვეულ ნაწილს მიუღებლად მიაჩნია, რაც კამათსა და გაუგებრობას წარმოშობს (ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ი., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012 წ). ამ ყველაფერში გააზრების უნარს კი მოზარდს მხატვრული ლიტერატურა უყალიბებს. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს და კრიტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებით ისინი სტერეოტიპული მიდგომიდან, აზროვნების ახალ საფეხურზე გადაიყვანოს. ლიტერატურის აღმზრდელობითი დანიშნულებაც ისაა, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს თავისუფალ მოქალაქედ. ამ მოცემულობით, ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგადი მიზნების პრიორიტეტებში მოიაზრება ის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ, რა არის მოქალაქეობრივი აზროვნება, ტოლერანტობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები (ჟურნალი „მასწავლებელი“ 2013 წ. N 4).

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში კინოხელოვნების ჩართვა, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და სახალისო აქტივობას წარმოადგენს. ერუდირებული და ინტელექტუალური მასწავლებელი ადვილად შეძლებს კონოშედეგები საგაკვეთილო თემებს დაუკავშიროს და გამოიტანოს ის ღირებულებები, რაც მაღალი ზნეობისა და იდეალების მატარებელ ადამიანს სჭირდება. დაწყებით საფეხურზე საბავშვო ფილმებისა და ანიმაციების ჩვენებით მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოთ სიკეთის, სიყვარულის, შემწყნარებლობის, მიტევების და მეგობრობის გრძნობები. გარემოსდაცვით საკითხებზე გადაღებული ფილმების ჩვენებით, მოსწავლეებს ვასწავლით ბუნების, ცხოველებისა და მცენარეების სიყვარულს და მათზე ზრუნვას. უფროს კლასებში უკვე შესაძლებელია ავირჩიოთ ზოგადსაკაცობრიო პრობლემები და თემები. მოსწავლეებს ურიგდებათ სპეციალური სამუშაო ფურცელი, რომელზეც ისინი ფილმის ყურების პროცესში აკეთებენ ჩანიშვნებს, ხოლო დასრულების შემდეგ ეწყობა დისკუსია და მსჯელობა მთავარ პრობლემებზე, რომელიც შეიძლება იყოს გენდერული უთანასწორობა, რასობრივი დისკრიმინაცია, ძალადობა და აგრესია, ფაშიზმი და ტოტალიტარული სახელმწიფოები, პატარა ადამიანის პრობლემა და ხელოვანის ბედი საზოგადოებაში, ტრადიციები და ადამიანის თავისუფალი ნება, სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულის განხორციელება მასწავლებელს შეუძლია მოახდინოს ცალკეც და სინთეზურადაც. კლასგარეშე და კლუბური მეცადინეობები ხელს უწყობს პრობლემების უფრო მრავალმხრივ გაანალიზებას და შესაბამისად, მოსწავლეები, რომლებიც თავად არიან ჩართული ამ პროცესში, ყალიბდებიან სრულფასოვან და მაღალი ღირებულებების მატარებელ პიროვნებებად. მასწავლებლის მიზანიც ესაა, რომ მისი მოსწავლე თანამედროვე სამყაროს ღირსეული და თავისუფალი მოქალაქე იყოს.

**პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები**, რომელთა შესრულების შესაძლებლობებს იძლევა კინო და ლიტერატურული კლუბური მუშაობები:

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- **წიგნიერება** – მრავალფეროვანი ლიტერატურული ღონისძიებები და შეხვედრები, დისკუსიები და განხილვები.
- **მედიაწიგნიერება** – მულტიმედია ტექსტების გაცნობა, ხმოვანი და ვიზუალური საშუალებები, აუდიო და ვიდეო რესურსების ჩვენება, გამოყენება დამატებით მასალად და მათი განხილვა.
- **სწავლის სწავლა** – სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარის გამომუშავება.
- **სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია** – სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011–2016 )

გამოცდილი პედაგოგი ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესწავლის ან განხილვისას აქტიურად გამოიყენებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლების მეთოდებს. სასწავლო პროცესი მით უფრო საინტერესო და შედეგის მომცემი ხდება, როდესაც მოსწავლეები ეცნობიან არა მარტო შინაარსს ნაწარმოებისა, არამედ მთავარ საკვანძო საკითხებს, ახდენენ ამ ყველაფრის ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და ექმნებათ შესაძლებლობა გახდნენ მაღალი ინტელექტუალური დონის მქონენი და კრიტიკულ სიტუაციებში მოახდინონ სწორი და ადეკვატური რეაგირება. ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას მნიშვნელოვანია გმირის არა მარტო გრძნობებსა და განცდებზე, არამედ შესტებსა და მიმიკებზე დაკვირვებაც. ლიტერატურაში შესაძლებელია ერთი შესტით პერსონაჟის ხასიათის მნიშვნელოვანი მხარე იყოს წარმოჩენილი, ხოლო გმირის ხასიათის სრულყოფილად გააზრებას უკვე მივყავართ პრობლემის არსის გააზრებამდე. თანაგანცდას უფრო ამაღლებს საკუთარი თავის სხვა ადამიანის ადგილზე წარმოდგენის უნარიც. ამისთვის კარგი იქნება, თუ პერსონაჟის ხასიათზე მუშაობისას მოსწავლეებს მივცემთ დავალებას, წარმოიდგინონ თავი ამა თუ იმ გმირის ადგილას და გადმოსცენ მისი განცდები პირველ პირში. მოსწავლეებს უნდა მივცეთ საშუალება თავად შექმნან ნაწარმოების დასასრული ან შეცვალონ ნაწარმოების ფინალი, გაითავისონ პერსონაჟები და შექმნან ახალი ისტორიები მათზე.

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთი ფორმაა ბავშვის ადრეული განვითარების ეტაპზე, სკოლამდელი განათლებისა და ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, ქართული და უცხოური მითების, იგავების და ზღაპრების გაცნობა, გააზრება, მათი შედარება და მათზე მსჯელობა. იგავების სწავლებისას როლური თამაშების გამოყენება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს თავად გააცნობიერონ პერსონაჟთა ხასიათები, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შეაფასონ მათი საქციელები და გააკეთონ დასკვნები. დაახარისხონ ადამიანის დადებითი და უარყოფითი მხარეები და თავადაც შექმნან იგავები, რომლებშიც უკვე გააზრებულად იმსჯელებენ ადამიანთა მანკიერ თვისებებზე, ისწავლიან საკუთარი ემოციების მართვას. ეს კი ხელს შეუწობს მათ სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებას.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

**შედეგები:**

მოსწავლეები იღებენ ცოდნას შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- იციან, რომ წიგნიერება მნიშვნელოვანია საზოგადოების პროგრესისათვის.
- ეცნობიან კინოშედეგებს.
- ეცნობიან კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებს.

მოსწავლეები კლუბური მუშაობისას ივითარებენ და იძენენ შემდეგ უნარებს:

- კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარები.
- მხატვრული ტექსტის მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.
- კინო და ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარი.
- ცოდნის გამოყენება/ტრანსფერირება სხვადასხვა კონტექსტში.
- გადაწყვეტილების მიღება.
- ეფექტური კომუნიკაცია.
- განსხვავებულ გარემოში ადაპტაციის უნარი.

მოსწავლეებს კლუბური მუშაობისას უყალიბდებათ შემდეგი ინტერესი.

დამოკიდებულებები - ღირებულებები

- ესთეტიკური და ლიტერატურული გემოვნება.
- სამოქალაქო და საზოგადოებრივი ცნობიერების მაღალი დონე.
- თანამშრომლობის სურვილი.
- პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა

**დასკვნა:**

არაფორმალური განათლება საშუალებას გვაძლევს, ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პრობლემები ალტერნატიული გზებითა და ხერხებით დაძლევადაც გავხადოთ. მოსწავლეებს ავუმაღლოთ წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების დონე უფრო საინტერესო და მათთვის მისაღები ფორმებით. კლუბური მუშაობები სცილდება სასკოლო გარემოს და შესაბამისად შედეგაც უფრო მნიშვნელოვანი და დიდია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარების გზამკვლევი, 2014 წელი
2. პაპავა პ., ჭანტურია თ., წიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2012 წ.
3. ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ი., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012 წ.
4. ჟურნალი „მასწავლებელი“, 2013 წლის N 4
5. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011–2016